სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #111-1

ქ. თბილისი ივლისი, 2021 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთი მხრივ, **სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"** (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თინათინ ბერძენიშვილის სახით და მეორე მხრივ, შპს „**GDS company**" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე გეჯაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე: შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი (NAT210009252) **სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" I კორპუსის სახურავზე დაზიანებული საფარის აღდგენისთვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე, (კლასიფიკატორის (CPV) კოდი №45261210 - სახურავის გადახურვა), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო.

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და სატენდერო წინდადებაზე თანდართული ყველა სხვა დოკუმენტი;

გ) სატენდერო დოკუმენტაცია.

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" I კორპუსის სახურავზე დაზიანებული საფარის აღდგენისთვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ფინანსური დირექტორი - ნოდარ ჭიჭინაძე, ადმინისტრაციის უფროსი - თეონა ენუქიძე, ადმინისტრაციის მთავარი სპეციალისტი - ირაკლი დობორჯგინიძე და სარემონტო ჯგუფის ინჟინერი - ზურაბ ქადაგიძე.

5.2. შემსყიდველი სამუშაოს შესრულების პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტის (შესრულებული სამუშაოს) შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

5.3. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

5.4. შესრულებული სამუშაოს შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაცნობილნი არიან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და მათი მონაწილეობა შესყიდვის განხორციელების პროცესში არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

6. სამუშაოს შესრულების პირობები და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" I კორპუსების სახურავზე დაზიანებული საფარის აღდგენისთვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან - 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში.

6.2. სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. თბილისი მ. კოსტავას ქ. №68 - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" I კორპუსის სახურავი.

6.3. შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (ხარჯთაღრიცხვის პროექტი) Excel-ის ფორმატში თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას.

6.4. სამუშაოების შესრულების ეტაპი შეთანხმებული უნდა იქნას შემსყიდველთან.

6.5. შესრულებული სამუშაო და სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული მასალები (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

6.6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველსა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებული პირები.

6.7. მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.8. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. გარანტია

7.1. შესრულებული სამუშაოს სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა (საგარანტიო პირობები რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა) განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით.

7.2. შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა არის 3 (სამი) წელი, იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოს ექსპლუატაციის პირობებში აღმოაჩნდება ხარვეზები, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან აღნიშნული დეფექტი აღმოფხვრას 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

8.2 გადახდის ფორმა - უნაღდო

8.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით (გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით) მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) დღეში.

9. ფასები

9.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

9.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან დაკავშირებული და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. მხარეთა ურთიერთობა

11.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით.

11.2. შეტყობინება ძალაში შედის აღრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, თუ ამ თარიღიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო თანხის და/ან შეუსრულებელი ვალდებულების - 3 % ოდენობით, რომლის გადახდა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის - 0.02 %-ს - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12.3 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,02 %-ის ოდენობით.

12.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ვადების დარღვევის შემთხვევაში), აგრეთვე იმ შემთხვევაში თუ მიწოდებული საქონლის ხარისხი არ დააკმაყოფილებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და შემსყიდველის მიერ წუნდებული სამუშაოს შესაცვლელად დამატებით განსაზღვრულ ვადაში არ მოხდება წუნდებული სამოუშაოს გამოსწორება შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.3 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს 13.1 და 13.2 პუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

13.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

13.5 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

15. დამატებითი პირობები

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

15.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტურ ეგზემპლიარად, თითო ყოველი მხარისთვის.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"	**შპს „GDS company"**
მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. #68	მის.: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ. #48, ბ-8
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	საიდენტიფიკაციო კოდი: 406 082 224
დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში კოდი: TRESGE22	საბანკო რეკვიზიტები: სს "თიბისი ბანკი" ანგარიშის № GE 75 TB 7459 8360 8010 0004 კოდი: TBCBGE22
გენერალური დირექტორი	დირექტორი
---	---
თინათინ ბერძენიშვილი	ალექსანდრე გეჯაძე

LEPL Georgian Public Broadcasting

Digitally signed by LEPL Georgian Public Broadcasting
Date: 2021.07.07 15:51:23 +04'00'

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I კორპუსის სახურავზე დაზიანებული საფარის აღდგენისთვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული რესურსი			მასალა		ხელფასი		ტრანსპ. და მანქ. მექანიზმები		ჯამი
			განზ. ერთ	ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1		I კორპუსი I ლოკაცია										
1		**მოიხსნას არსებული რბილი საფარი**	**კვ.მ**		**500.00**							
		შრომითი რესურსი	კვ.მ	1.00	500.00		0.00	1.00	500.00		0.00	500.00
2	**11-8-1; 11-8-2**	**იატაკზე ქ/ცემენტის ხსნარით მოჭიმვა სისქით 30მმ**	**კვ.მ**		**120.00**							
		შრომითი რესურსები 0,188+(0,0034*2)	კაც/სთ	0.1948	23.376		0.00	7.60	177.66		0.00	177.66
		სხვა მანქანები 0,0095+(0,0023*2)	ლარი	0.0141	1.692		0.00		0.00	4.00	6.77	6.77
	4-1-370	ქ/ცემენტის ხსნარი მ-100 0,0204+(0,0051*2)	კუბ.მ	0.0306	3.672	94.00	345.17		0.00		0.00	345.17
		სხვა მასალები	ლარი	0.0636	7.632	4.00	30.53		0.00		0.00	30.53
3	საბაზრო	**სახურავის მოწყობა ერთი ფენა რულონური მასალით**	**კვ.მ**		**500.00**							
		შრომითი რესურსები	კვ.მ	1.00	500.00		0.00	1.00	500.00		0.00	500.00
	4-1-397	რულონური მასლა (ზედა ფენა) ქვიშიანი საფარით	კვ.მ	1.12	560.00	5.65	3 164.00		0.00		0.00	3 164.00
	4-1-428	პრაიმერი	ლიტრ	0.30	150.00	3.20	480.00		0.00		0.00	480.00
	4-1-432	ბიტუმის მასტიკა	ლიტრ	0.80	400.00	2.63	1 052.00		0.00		0.00	1 052.00
	საბაზრო	გაზი(თხევადი)	კგ	0.30	150.00	2.80	420.00		0.00		0.00	420.00
4		**წყლის მიმღები არხის გასუფთავება**	**გრძ.მ**		**25.00**							
		შრომითი რესურსები	გრძ.მ	1.00	25.00		0.00	1.00	25.00		0.00	25.00
2		I კორპუსი მე-2 ლოკაცია (I სტუდიის სახურავი)					0.00		0.00		0.00	0.00
1	საბაზრო	**სახურავის მოწყობა ერთი ფენა რულონური მასალით**	**კვ.მ**		**100.00**							
		შრომითი რესურსები	კვ.მ	1.00	100.00		0.00	1.00	100.00		0.00	100.00
	4-1-397	რულონური მასლა (ზედა ფენა) ქვიშიანი საფარით	კვ.მ	1.12	112.00	5.65	632.80		0.00		0.00	632.80
	4-1-428	პრაიმერი	ლიტრ	0.30	30.00	3.20	96.00		0.00		0.00	96.00
	4-1-432	ბიტუმის მასტიკა	ლიტრ	0.80	80.00	2.63	210.40		0.00		0.00	210.40
	საბაზრო	გაზი (თხევადი)	კგ	0.30	30.00	2.80	84.00		0.00		0.00	84.00
3	**კოდი 0471**	**ამწე საავტომობილო სვლაზე**	**მანქ/სთ**		**4.00**		0.00		0.00	41.29	165.16	165.16
4		**სამშენებლო ნარჩენების შეგროვება, დასუფთავება, დატვირთვა ავტ. თვითმცლელზე და გატანა ტერიტორიიდან 20კმ მანძილზე (რაოდენობა დაზუსტდეს ადგილზე)**	**რეისი**		**1.00**	0.00	0.00	25.00	25.00	100.00	100.00	125.00

		ჯამი					6 514.90		1 327.66		271.93	8 114.48
		ზედნადები ხარჯი არაუმეტეს -10 %			7%							568.01
		ჯამი										8 682.50
		გეგმიური მოგება არაუმეტეს - 8 %			6%							520.95
		ჯამი										9 203.45
		გათვალისწინებელი ხარჯი -1 %			1%							92.03
		ჯამი										9 295.48
		სახელფასო ფონდი										1 327.66
		საპენსიო ფონდში გადასარიცხი თანხა ხელფასიდან 2%			2%							26.55
		ჯამი										9 322.03
		დ.ღ.გ			18%							1 677.97
		ჯამი (ლარი)										11 000.00

_ხარჯთაღრიცხვაში ყვითელი ფონით მონიშნული ერთეულის ფასების გრაფა განფასებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ.

***** ხარჯთაღრიცხვის შედგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული რეგლმენტი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

** ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი ხარჯები წარმოდგენილი უნდა იყოს 1%-ის ოდენობით გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია. გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ შემსყიდველის ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის თანხმობისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

******* - ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი ან/და ელექტრონული შტამპით დამოწმებული

შპს " GDS-company "-ს დირექტორი **ალექსანდრე გეჯაძე**

3. სამუშაოების შესრულების ვადები და ტექნიკური პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტია: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I კორპუსების სახურავზე დაზიანებული საფარის აღდგენისთვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი (ხარჯთაღრიცხვის პროექტი) Excel-ის ფორმატში თან ერთვის სატენდერო დოკუმენტაციას.

3.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაოების შესრულება ხელშეკრულების გაფორმებიდან **15 (თხუთმეტი)** კალენდარულ დღეში.

3.3 სამუშაოს შესრულების ადგილია: ქ. თბილისი მ. კოსტავას ქ. #68 - სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I კორპუსის სახურავი.

3.4 სამუშაოების შესრულების ეტაპი შეთანხმებული უნდა იქნას შემსყიდველთან.

3.5 შესრულებული სამუშაო და სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული მასალები (საქონელი) უნდა იყოს მაღალი ხარისხის რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

3.6 შემსყიდველი სამუშაოს შესრულების პარალელურად განახორციელებს შესყიდვის ობიექტის (შესრულებული სამუშაოს) შემოწმებას, იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოს შემოწმების პროცესში აღმოჩნდება გარკვეული ხარვეზები და მიმწოდებელი ვერ/ან არ უზრუნველყოფს აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე.

3.7 შესრულებული სამუშაოს შემოწმების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრა.

3.8 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი კონტროლი (შემოწმება) გაიმართება, მიმწოდებელი ორგანიზაციის წარმომადგენლ(ებ)ის თანდასწრებით.

3.9 შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა უნდა იყოს **3 (სამი) წელი,** იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოს ექსპლუატაციის პირობებში აღმოაჩნდება ხარვეზები, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან აღნიშნული დეფექტი აღმოფხვრას 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

3.10 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით **(გაუთვალისწინებელი სამუშაოების თანხების ხარჯვა მოხდება აუცილებლობიდან გამომდინარე შემსყიდველთან შეთანხმებით)** მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 (შვიდი) დღეში ***(წინასწარი საავანსო გადახდა ელექტრონულ ტენდერში არ გამოიყენება)***.

3.11 სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: ***100 % - საკუთარი სახსრები (2021 წლის სახსრები)***

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - 17 467 ლარი.

შენიშვნა:

შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: დავით მიქაცაძე ტელ: 577 53 85 42 – შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი/სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ზედამხედველი;

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I კორპუსის სახურავზე დაზიანებული საფარის აღდგენისთვის ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

#	სამუშაოს დასახელება	ნორმატიული რესურსი			მასალა		ხელფასი		ტრანსპ.და მანქ.მექანიზმები		ჯამი
		განზ.ერთ	ერთეულზე	სულ	ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
1	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
1	I კორპუსი I ლოკაცია										
1	**მოიხსნას არსებული რბილი საფარი**	**კვ.მ**		**500**		0		0		0	0
	შრომითი რესურსი	კვ.მ	1	500		0		0		0	0
2	**იატაკზე ქ/ცემენტის ხსნარით მოჭიმვა სისქით 30მმ**	**კვ.მ**		**120**		0		0		0	0
	შრომითი რესურსები 0,188+(0,0034*2)	კაც/სთ	0.1948	23.376		0		0		0	0
	სხვა მანქანები 0,0095+(0,0023*2)	ლარი	0.0141	1.692		0		0		0	0
	ქ/ცემენტის ხსნარი მ-100 0,0204+(0,0051*2)	კუბ.მ	0.0306	3.672		0		0		0	0
	სხვა მასალები	ლარი	0.0636	7.632		0		0		0	0
3	**სახურავის მოწყობა ერთი ფენა რულონური მასალით**	**კვ.მ**		**500**		0		0		0	0
	შრომითი რესურსები	კვ.მ	1	500		0		0		0	0
	რულონური მასლა (ზედა ფენა) ქვიშიანი საფარით	კვ.მ	1.12	560		0		0		0	0
	პრაიმერი	ლიტრ	0.3	150		0		0		0	0
	ბიტუმის მასტიკა	ლიტრ	0.8	400		0		0		0	0
	გაზი(თხევადი)	კგ	0.3	150		0		0		0	0
4	**წყლის მიმღები არხის გასუფთავება**	**გრძ.მ**		**25**		0		0		0	0
	შრომითი რესურსები	გრძ.მ	1	25		0		0		0	0
2	I კორპუსი მე-2 ლოკაცია (I სტუდიის სახურავი)					0		0		0	0
1	**სახურავის მოწყობა ერთი ფენა რულონური მასალით**	**კვ.მ**		**100**		0		0		0	0
	შრომითი რესურსები	კვ.მ	1	100		0		0		0	0
	რულონური მასლა (ზედა ფენა) ქვიშიანი საფარით	კვ.მ	1.12	112		0		0		0	0
	პრაიმერი	ლიტრ	0.3	30		0		0		0	0
	ბიტუმის მასტიკა	ლიტრ	0.8	80		0		0		0	0
	გაზი(თხევადი)	კგ	0.3	30		0		0		0	0
3	ამწე საავტომობილო სვლაზე	მანქ/სთ		4		0		0		0	0

4	სამშენებლო ნარჩენების შეგროვება, დასუფთავება, დატვირთვა .ავტ.თვითმცლელზე და გატანა ტერიტორიიდან 20კმ მანძილზე(რაოდენობა დაზუსტდეს ადგილზე)	რეისი		1		0		0		0	0
	ჯამი					0		0		0	0
	ზედნადები ხარჯი არაუმეტეს -10 %			10%							0.00
	ჯამი										0.00
	გეგმიური მოგება არაუმეტეს - 8 %			8%							0.00
	ჯამი										0.00
	გათვალისწინებელი ხარჯი -1 %			1%							0.00
	ჯამი										0.00
	სახელფასო ფონდი										0.00
	საპენსიო ფონდში გადასარიცხი თანხა ხელფასიდან 2%			2%							0.00
	ჯამი										0.00
	დ.ღ.გ			18%							0.00
	ჯამი (ლარი)										0.00

_ხარჯთაღრიცხვაში ყვითელი ფონით მონიშნული ერთეულის ფასების გრაფა განფასებული უნდა იყოს პრეტენდენტის მიერ.

* ხარჯთაღრიცხვის შედგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული რეგლმენტი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“.

** ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალისწინებელი ხარჯები წარმოდგენილი უნდა იყოს 1%-ის ოდენობით გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია. გაუთვალისწინებელი თანხების გამოყენება მოხდება მხოლოდ შემსყიდველის ნებართვით, მისივე ინიციატივით ან მიმწოდებლის მიერ დასაბუთებული და არგუმენტირებული წინადადების განხილვისა და შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველის უფლებამოსილი პირის თანხმობისა და სათანადო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

(თანამდებობა და ხელმოწერა***)

*** - ხარჯთაღრიცხვა უნდა იყოს ელექტრონულად ხელმოწერილი ან/და ელექტრონული შტამპით დამოწმებული